ჰიდროელექრტოსადგური ფარავანი

პროექტის აღწერა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ევრობანკი) განიხილავს 86 მეგავატის სიმძლავრის არარეგულირებადი ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაფინანსების საკითხს. პროექტით ასევე გათვალისწინებულია საქართველოს სამხრეთით - სამცხე-ჯავახეში გადამცემი ხაზებისა და აუცილებელი ელექტრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა. ჰიდროელექტროსადგური დაკავშირებული იქნება ქვესადგურთან ახალციხეში რაც თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტის განხორციელებას გახდის შესაძლებელს. ხსენებული ქვესადგური არის ევრობანკის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების პროექტის ფარგლებში.

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

პროექტმა მოსალოდნელია იქონიოს შემდეგი სახის ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი:

1. *პროექტიდან გამომდინარე სადემონტრაციო ეფექტი.* პროექტი იქნება ამ ზომის ჰიდროელექტროსადგურებს შორის პირველი ახალი მშენებლობა საქართველოში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში. ის შექმნის პრეცედენტს და ხელს შეუწყობს განახლებადი ენერგიის რამოდენიმე სხვა პროექტის ეფექტურ დაფინანსებას, რომელთა მშენებლობაზეც მემორანდუმები მიენიჭა სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ კომპანიას. და ბოლოს, ევრობანკის მონაწილეობა უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებას საერთაშორისო გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად.
2. *კერძო მფლობელობის სტიმულირება.* ევრობანკი მხარს დაუჭერს სტრატეგიულ კერძო ინვესტორს საქართველოს ენერგეტიკაში. „ანადოლუ ჯგუფის“ ერთობლივი საწარმოები ენერგეტიკაში აქტიურად მოქმედ სხვა მსხვილ თურქულ კომპანიებთან, მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტების დაქირავება და თანამედროვე პროექტის დაფინანსებისათვის დამახასიათებელი საკონტრაქტო ურთიერთობების გამოყენება ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო და საოპერაციო რისკის დაზღვევვის საშუალებას იძლევა და ძლიერ პოზიტიურ სიგნალს უგზავნის სხვა პოტენციურ ინვესტორებს.
3. პროექტმა ასევე შესაძლოა მოახდინოს *კონკურენტული ურთიერთობების სტიმულირება* ენერგეტიკის ბაზარზე რამაც შეიძლება შედეგად იქონიოს ენერგომატარებლებით საერთაშორისო ვაჭრობის მაჩვენებლებისა და მოცულობების გაზრდა.

კლიენტი

„ჯორჯიან ურბან ენერჯი“ სპეციალურად შეიქმნა ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მიზნით. ხსენებულ კომპანიაში საკონტროლო პაკეტს ფლობს და აკონტროლებს „ანადოლუ კაფკასია ენერჯი იატირიმლარი“, რომელშიც თავის მხრივ საკონტროლო პაკეტს ფლობს და აკონტროლებს „ანადოლუ ენდუსტრი ჰოლდინგი“.

ევრობანკის დაფინანსება

ევრობანკის დაფინანსება მოიცავს: (ა) 44 მილიონამდე აშშ დოლარს უზრუნველყოფილი კრედიტის სახით და (ბ) 10 პროცენტამდე წილობრივ მონაწილეობას დაახლოებით 5 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით, რომლის ინვესტიციაც კომპანიის კაპიტალში განხორციელდება.

საპროექტო ხარჯები

პროგნოზირებულია შეადგინოს დაახლოებით 160 მილიონი აშშ დოლარი.

ეკოლოგიური გავლენა

პროექტს მინიჭებული აქვს „ა“ კატეგორია, რითაც დასტურდება, რომ მან პოტენციურად მნიშვნელოვანი უარყოფითი ეკოლოგიური და/ან სოციალური გავლენა შეიძლება იქონიოს, რომელთა პირდაპირი გამოვლენა ან შეფასება წინასწარ ვერ ხდება. პროექტის მშენებლობა გულისხმობს ეკოლოგიური კუთხით ისეთი სენსიტიური ღონირძიებების განხორციელებას, როგორიცაა გვირაბის გათხრა და კლდოვანი მასის მართვა, მისასვლელი გზების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მშენებლობა, მცირე ზომის კაშხლის და 33 კმ. გადამცემი ხაზის მშენებლობა, რომლისთვისაც საჭირო იქნება კერძო მიწის ნაკვეთების შეძენა და მფლობელთათვის მოსავლისა და საძოვრების დანაკარგებისთვის კომპენსაციების გადახდა. პროექტის განხორციელების შედეგად მდინარის ბუნებრივი ნაკადი შემცირდება დაახლოებით 90 პროცენტით. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ პროექტის გარკვეული ნაწილი მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობით მდიდარ რეგიონთან ახლოს.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დეტალური ექსპერტიზა 2009 წელს დასრულდა. ადგილობრივმა კონსულტანტმა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოამზადა გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ). მისი საჯარო წარდგენა განხორციელდა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის გეგმის ფარგლებში, რომელიც ევრობანკმა განიხილა და ამგვარად დაკმაყოფილდა ევრობანკის მე-10 სამოქმედო მოთხოვნის პირობები. ამჟამად ადგილობრივი კონსულტანტი ატარებს გადამცემი ხაზის დეტალურ ექსპერტიზას და მუშაობს გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე.

ევრობანკის მიერ შედგენილი ტექნიკური დავალების ფარგლებში, ხსენებული ექსპერტიზა გულისხმობს ბიოლოგიურ და არქეოლოგიურ კვლევებს, განახლებულ დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის გეგმას, მიწის ნაკვეთების შეძენისა და კომპენსაციების გეგმის მომზადებასა და განხორციელებას, გადამცემი ხაზის გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და საჯარო განხილვას და არა-ტექნიკური ანოტაციის მომზადებას, რომელიც შეეხება როგორც ჰიდროელექტროსადგურს ასევე გადამცემ ხაზს. ევრობანკი გაეცნობა ყველა ზემოთხსენებულ დოკუმენტს და პროექტის მონიტორინგს განახორციელებს მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ტექნიკური თანამშრომლობა

ტექნიკური თანამშრომლობა ამ პროექტს არ ეხება.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

„ჯორჯიან ურბან ენერჯი“

საკონტაქტო პირი: ონურ ტოსუნოღლუ

ელ. ფოსტა: onur.tosunoglu@paravanihpp.ge

ბიზნესის შესაძლებლობები

ბიზნესის შესაძლებლობათა ან შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

ზოგადი ინფორმაცია

შესყიდვების საკითხის გარდა, პროექტთან დაკავშირებულ ყველა სხვა საკითხზე ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით ევრობანკში:

ტელ: +44 20 7338 7168; ფაქსი: +44 20 7338 7380
ელ-ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

პოლიტიკა ინფორმაციის საჯაროობის შესახებ

ინფორმაციის საჯაროობის შესახებ შემუშავებულ პოლიტიკაში ჩამოყალიბებულია ევრობანკის მიერ ინფორმაციის საჯაროობისა და აქციონრებთან კონსულტაციების მექანიზმები, რომელიც გამოიყენება უკეთესი საზოგადოებრივი შემეცნებისა და მისი სტრატეგიების, პოლიტიკისა და ფუნციონირების შესახებ ინფორმაციის გაცნობიერებისთვის. Text of the PIP

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი

ევრობანკმა პროექტების გასაჩივრების მექანიზმი შეიმუშავა ცალკელი პირების ან ხალხთა ჯგუფისგან, ასევე ორგანიზაციებისგან ევრობანკის მიერ დაფინანსებულ პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. ეს მექანიზმი მოქმედებს როდესაც არსებობს ვარაუდი დამდგარი ან სავარაუდო ზიანის შესახებ. პროექტის გასაჩივრების მექანიზმის განმსაზღვრელი წერებისა და პროცედურების გასაცნობად იხილეთ შემდეგი ბმული: www.ebrd.com/downloads/integrity/pcmrules.pdf, რუსული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: http://www.ebrd.com/downloads/integrity/pcmrulesr.pdf

პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში ნებისმიერი საჩივარი წარმოდგენილი უნდა იქნეს ევრობანკის მიერ ფინანსური რესურსების გამოყოფიდან არაუგვიანეს 12 თვის ვადაში. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის პასუხისმგებელ პირს (ელ. ფოსტა: pcm@ebrd.com) ან დახმარებისთვის მიმართეთ ევრობანკის ადგილობრივ წარმომადგენლობას თუ გსურთ გაიგოთ კონკრეტულად რა ვადებშია შესაძლებელი საჩივრის წარმოდგენა.